სამოქალაქო საზოგადოება

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №2, 2024 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

დეზინფორმაცია – ნუ გაბრიყვდები!

ინფორმაციის გადამოწმება ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია დეზინფორმაციისაგან თავის დასაცავად

„შეებრძოლოს დეზინფორმაციას, უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებს და ჩარევას ევროკავშირისა და მის ღირებულებების წინააღმდეგ”, – ასეთია ევროკომისიის 9 პირობიდან ერთ-ერთი, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს ევროინტეგრაციის გზაზე. ამ დათქმის შემოღება ძირითადად განპირობებული იყო დეზინფორმაციით, რომ დასავლეთი საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს, „უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებში“ რუსეთი და მისი ჰიბრიდული ომის სეგმენტები უნდა ვიგულისხმოთ.

ევროკომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ხელისუფლება შეებრძოლოს ანტიდასავლურ და რუსულ დეზინფორმაციას. ეს საქართველოში გავრცელებული დეზინფორმაციული ნაკადის მხოლოდ ერთი მხარეა.

ინფორმაციისა და ციფრული სამყაროს ეპოქაში დეზინფორმაცია გახდა ჩვენი არასასურველი თანამგზავრი. დღეს დეზინფორმაცია ბევრად უფრო შორს, სწრაფად, ღრმად და ფართოდ შეიძლება გავრცელდეს, ვიდრე სიმართლე. სულაც არ არის აუცილებელი, რომ მისი ყველაზე წარმატებული გამავრცელებლები სპეციალური განათლების მქონე პროფესიონალები იყვნენ.

რა არის დეზინფორმაცია?

დეზინფორმაცია გულისხმობს ცრუ, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის ან მოსაზრების მიზანმიმართულ გავრცელებას როგორც „ფაქტი და სიმართლე”, ადამიანის, საზოგადოების გაბრიყვების, მანიპულირების ან დაპირისპირების მიზნით. დეზინფორმაცია ზოგჯერ შეიძლება უნებლიედ, არცოდნის გამო წარმოიშვას, ხშირად კი იგი არის ცნობიერი ძალისხმევა სიმართლის დამახინჯებისთვის.

მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა: ყალბი ახალი ამბების სტატიები, მანიპულირებული ფოტოები ან ვიდეოები და შეცდომაში შემყვანი ინტერპრეტაციები...

პარადოქსია: დეზინფორმაცია იყენებს რაც შეიძლება მეტ სიმართლეს – ტყუილის გასავრცელებლად.

ტყუილით გამიზნულად შევყავართ შეცდომაში, რასაც იყენებს სხვადასხვა ინდივიდი ან ჯგუფი სხვადასხვა მიზნით: პოლიტიკოსები, პარტიები, „ვითომ მოყვარე”, უცხო ქვეყნის აგენტები, ეკონომიკური თაღლითები... სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები. მათ უნდათ: საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება, მოწინააღმდეგის დაზიანება, კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ხელშეწყობა, ეკონომიკური სარგებლის ნახვა, არჩევნების გაკონტროლება...

ნავიგაცია დეზინფორმაციის ქსელში: გზამკვლევი თავდაცვისათვის

გამოაშკარავე და მოიშორე სიყალბე

დეზინფორმაციის ამოცნობა და მისგან თავდაცვა დღეს ძალიან მნიშნელოვანია.

დეზინფორმაციის ამოცნობისათვის:

◉ შეამოწმეთ წყარო:

ფრთხილად იყავით უცნობი ან არასანდო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის მიმართ. გადაამოწმეთ ვებსაიტის ან პუბლიკაციის სანდოობა. მოიძიეთ მრავალი წყარო – თუ სიუჟეტი ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა საშუალების მიერ, უფრო სავარაუდოა, რომ ის სანდო იქნება.

◉ შეისწავლეთ ფაქტები და შინაარსი:

სანამ ამბავს დაიჯერებთ და იმპულსურად გააზიარებთ, ერთი წუთი დაუთმეთ ფაქტების და შინაარსის ლეგიტიმურობის შემოწმებას. დარწმუნდით, რომ ის სანდო ინფორმაციაა. ეცადეთ ფაქტი შესაბამისი სფეროს ექსპერტებთან გადაამოწმოთ. გამოიკვლიეთ ავტორი, წყარო, არგუმენტები.

რას ამბობს სხვა წყაროები?

შესაძლოა მოინახულოთ მსგავსი ამბების თქვენთვის ნაცნობი, რეიტინგული ვებგვერდები – სააგენტოები, მასმედია, ფაქტების შემოწმების ვებსაიტები – ერთ-ერთია ქართული ვებგვერდი – **https://mythdetector.ge/** – მითების დეტექტორი...

◉ დააკვირდით სათაურებს, ფაქტები გადაამოწმეთ სანამ გააზიარებთ:

სათაურები ზოგჯერ ცრუ და სენსაციური ან ზედმეტად დრამატულია. ისინი თქვენს თვალწინ აფრიალებული წითელი დროშებია. მათი მიზანია გადახვიდეთ ბმულზე.

◉ სანამ დაიჯერებთ „ამბავს“, გაითვალისწინეთ რომ ხართ სუბიექტური:

გაიხსენეთ თქვენი დამოკიდებულება, მან შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს აღქმაზე. დეზინფორმაციის დასაჯერებლად კარგი ნიადაგია უკვე არსებული რწმენა, დამოკიდებულება, ამიტომ იყავით ღია და კრიტიკულად შეაფასეთ ინფორმაცია.

◉ გადაამოწმეთ ფოტოები და ვიდეო:

გამოიყენეთ სურათების საძიებო ინსტრუმენტები – Google Images, All or Not, Tineye… მოძებნეთ ფოტოს ყველაზე ძველი ვერსია.

ზოგჯერ სრულიად უწყინარი ვიდეოც შეიძლება გახდეს ჩვენი შეცდომაში შეყვანის და ცრუ ამბების

ნავიგაცია დეზინფორმაციის ქსელში:

გზამკვლევი თავდაცვისათვის

გავრცელების მიზეზი. ვიზუალური მასალა უფრო „სარწმუნოს და დამაჯერებელს“ ხდის ამბავს. აუცილებლად უნდა გაადაამოწმოთ ვიდეოს წარმოშობა. შინარსიდან ამოგლეჯილი ფრაზები დიდ გაუგებრობას იწვევს. დაუკვირდით მცირე დეტალების შესაბამისობას ვიდეოში - ხმა, კადრები... გახსოვდეთ: ინფორმაციის გადამოწმება ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია დეზინფორმაციისაგან თავის დასაცავად

◉ იყავი ინფორმირებული:

გაეცანით მიმდინარე მოვლენებს, სანდო საინფორმაციო წყაროებს და ფაქტების შემოწმების რესურსებს. ინფორმირებულობა აადვილებს ინფორმაციის შეუსაბამობის დადგენას. იყავით ინფორმაციის გამჭრიახი და ინფორმირებული მომხმარებლები

◉ მედიაწიგნიერების ხელშეწყობა:

წაახალისეთ ახლობლები განივითარონ კრიტიკული აზროვნების უნარები და მედიაწიგნიერება. გაუზიარეთ რესურსები ინტერნეტში, სადაც შესაძლებელია ფაქტების, ვიდეოების, სურათების შემოწმება, ასწავლეთ მათ სანდო და საეჭვო წყაროების გარჩევა.

„მედიახმა საქართველოდან“ გვასწავლის ვიდეომანიპულაციების გამოცნობას. მედიაწიგნიერების შესახებ სასარგებლო და საინტერესო ვიდეოების სანახავად, ეწვიეთ ბმულს: **https://www.youtube.com/watch?v=4nq9TuYLbrI...**

◉ შეტყობინება და დეზინფორმაციის დაბლოკვა:

სოციალური მედიის პლატფორმებსა და ვებსაიტებს ხშირად აქვთ ყალბი ინფორმაციის მოხსენების ანუ „დარეპორტების“ მექანიზმები. თუ დეზინფორმაციას წააწყდებით, შეატყობინეთ პლატფორმას, რომელზედაც სიყალბე არის განთავსებული, რათა შეზღუდონ იგი.

შენი ცნობისმოყვარეობით ბოროტად რომ არ ისარგებლონ - დააკვირდი, გადაამოწმე!

დეზინფორმაციის გამოაშკარავებით და პრაქტიული ზომების მიღებით, პირადად შეგიძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულოთ შეცდომაში შემყვანი და საზოგადოების დამაზიანებელი ინფორმაციის გავრცელების შემცირებაში.

ყალბი ინფორმაციის 10 ყველაზე გავრცელებული ფორმა

ყალბი ინფორმაციის გასავრცელებლად ყველა სოციალურ ქსელსა და შესაძლებლობას იყენებენ. გავრცელებული მასალების შინაარსი, მიზანი და ფორმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. ამ ინფოგრაფიკაში წარმოგიდგენთ ყალბი ამბების 10 ყველაზე გავრცელებულ ფორმას, რომელიც სამომავლოდ მათ იდენტიფიცირებასა და კლასიფიკაციაში დაგეხმარებათ.

წყარო: On.ge - https://bit.ly/49bUnWm

2024 – საპარლამენტო არჩევნების წელი – ამომრჩევლის სამახსოვრო

➲არჩევნები ფარულია და ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა!

➲საარჩევნო ელექტრონული სისტემის საშუალებით არჩევნების შედეგები ქვეყნის მასშტაბით, გვეცოდინება, ხმის მიცემის შეწყვეტიდან, ერთ-ორ საათში. შესაბამისად – ხმებს ვეღარ „გადათვლიან“.

➲ამომრჩევლის რეგისტრაციისა და ხმების დათვლის ელექტრონული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას აკეთებს საერთაშორისო, რეიტინგული ორგანიზაცია, და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოხდეს უკანონო მანიპულირება.

➲არჩევნების დღეზე მეტად არჩევნები ყალბდება სააგიტაციო პერიოდში, როცა უკანონო წესებით ზემოქმედებენ ამომრჩევლის ნებაზე – მოსყიდვა, დაშინება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება... ვიმოქმედოთ სინდისის კარნახით. ჩვენზეა გადაწყვეტილების ბედი.

➲ ხელისუფლების შეცვლის დიდი სურვილი თუ გაჩნდა ამომრჩეველში, შედეგებში დიდი სხვაობის შემთხვევაში, მმართველ პარტიას ვერ უშველის ვერც ადმინისტრაციული რესურსი, ვერც ამომრჩეველთა დაშინება.

➲ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე!!!

ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი“

ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს (National Endowment for Democracy) NED -ის პოზიციას.

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD